

## ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

### როლან ბარტი რასინის შესახებ (კრიტიკა და შეფასება)

ევა კვანტალიანი

kvantaliani.eka@atsu.edu.ge

ქუთაისის აკადემიური წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2024.2.24.09>

სტატიაში გაანალიზებულია როლან ბარტის მიერ 1963 წელს გამოქვეყნებული ოეორიული ნაზრევი „Sur Racine“ („რასინის შესახებ“), რომელიც სტრუქტურალისტური თეორიების ჭრილში კლასიციზმისა და რასინის დრამატურგიის კრიტიკას სრულიად ახალი ხედვით გვთავაზობს. სამწუხაროდ, რ. ბარტის ეს ცნობილი ნაშრომი ქართულ ენაზე არ არის ნათარგმნი, სადაც ავტორი რასინისეულ წერის მანერას აანალიზებს არა ტრადიციული ლიტერატურული კრიტიკული თვალსაზრისით, არამედ, ახლებურად, რასაც მე-20 საუკუნის „ახალ კრიტიკას“ უწოდებენ საფრანგეთში, რაც მოგვიანებით მთელ ევროპაში დამკვიდრდა. სტატიაში განხილულია, ასევე, რომ ბარტმა თავისი მოდერნისტული თეორიების საფუძველზე დიდი კლასიცისტი მწერლის დრამატურგიული შედევრების სრულიად განსხვავებული ტოპოლოგიური კლასიფიკაცია მოახდინა. მან შემოგვთავაზა წერის კონცეფციის ახლებური გაგება, რომელიც ენისგან, სტილისგან და მწერლობისგან გამიჯნა. მიუხედავად ბარტის რასინისეული კლასიცისტური სამწერლობო ენის კრიტიკისა, მან ერთგვარი „მეტაენის“ გააზრება შემოიტანა ლიტერატურაში, რომლის ყალიბს, სწორედ, ქან რასინთან მიაგნო, რამაც კრიტიკოსის აზრით რასინის დრამტურგია მარადაქტუალურ კვლევის ობიექტად აქცია.

**საკვანძო სიტყვები:** ბარტი, სტრუქტურალიზმი, „მეტაენა“, „ახალი კრიტიკა“, კლასიციზმი, რასინი.

როლან ბარტის იდეები ყოველთვის ფრაგმენტული ნარატივებისა და პოეტური ენისადმი სიყვარულით გამოირჩეოდა, რომელმაც დასაბამი მისცა ლიტერატურული ანალიზის ახლებურ ხედვას, რაც შესანიშნავად ასახავდა პოსტმოდერნიზმის ეპოქისეულ სულისკვეთებას. ბარტისეული პოეტური ენის აღქმა არ უნდა გავიგოთ, როგორც ტრადიციული მიდგომა ლიტერატურის თეორიაში, არამედ ეს ე.წ. „მეტაენაა“, რომელიც სტრუქტურალიზმის პრიზმაში განიხილება. ბარტმა შემოიტანა „წერის“ თავისებური ხედვა-კონცეფცია და იგი სტილისგან, ენისგან და

მწერლობისგან გამიჯნა (Marty 2010: 58; Sontag 2009: 62).

ბარტი ცნობილია თავისი ესეებითა და კრებულებით (რომელთაგან მხოლოდ ერთეულებია ქართულად ნათარგმნი): „Le Degré zéro de l'écriture“ („წერის ნულოვანი დონე“, 1953), „Mythologies“ („მითოლოგიები“, 1957), „Écrits sur le théâtre“ („წერილები თეატრზე“, 1953-1960), „Essais critiques“ („კრიტიკული ნარკევები“, 1964), „Sur la literature“ („ლიტერატურის შესახებ“, 1963), „Sur Racine“ („რასინის შესახებ“, 1963), „La Mort de l'auteur“ („ავტორის სიკვდილი“, 1967), „Poétique du récit“ („თხრობის პოეტიკა“, 1977), „Littérature et réalité“ („ლიტერატურა და რეალობა“, 1982) და სხვ., რომლებშიც ბარტი განსაკუთრებით ეწინააღმდეგებოდა ტრადიციულ მიდგომებს ლიტერატურულ კრიტიკაში.

როლან ბარტმა ესეში რასინზე „Sur Racine“ („რასინის შესახებ“, 1963, რომლის ქართული თარგმანი სამწუხაროდ არ არსებობს), ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა ფართოდ ცნობილი სტრუქტურალისტური კვლევა ლიტერატურული კრიტიკის სფეროში. ამ მეთოდოლოგის მთავარი საფუძველია ნაწარმოების კვლევის ინოვაციური პრინციპი: ანალიზი სოციალურ-ისტორიული პროცესის მიღმა. ამავე მოცემულობის ჩარჩოებში მკვლევარმა მხოლოდ „შინაგანი გაანალიზების ფონზე“ უნდა ამოიცნოს ლიტერატურული ტექსტის ელემენტები და განიხილოს მათ შორის არსებული კავშირები. არვეთანხმები ბარტისეულ მოსაზრებას, რომ ესა თუ ის ნაშრომი უნდა განიხილებოდეს მის გარემოსთან და არა მის ფესვებთან მიმართებაში. რასინის ტრაგედიების განხილვისას რ. ბარტი ცდილობდა, აღეწერა პიესებში ავტორისეული სამყარო, მისი მკვიდრი მოსახლეობა, ცხოვრების წესი, ადათ-წესები, სივრცე, მაგრამ არა პერსონაჟებთან მიმართებაში, არამედ განყენებული ხედვით, აბსტრაქტულად.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბარტისეულ „მეტაენას“ შეიძლება რასინის დრამატურგიული ენის აბსტრაქტული ხასიათი დავუპირისპიროთ, რადგან ბარტისთვის სამწერლობო ენა ხომ აბსტრაქციული სააზროვნო მოცემულობით არის დაკავშირებული ამა თუ იმ ინდივიდთან, ან საერთოდ გარესამყაროსთან. კლასიციზმიც, როგორც ლიტერატურული მიმდინარეობა აბსტრაქტულია თავისი შინაარსით, შესაბამისად რასინის ენა აბსატერაქციული ხასიათისაა დროსთან მიმართებაში.

ბარტის მიერ რასინის ნაწარმოებთა პოეტიკის შესწავლის პროცესი, მიუხედავად მრავალი ასპექტისა, შეიძლება დაიყოს რამდენიმე ძირითად ნაწილად. უპირველეს ყოვლისა, ეს არის სივრცითი ორგანიზაციის გააზრება; შემდეგი არის ტრაგედიების სიუჟეტის ანალიზი, ასევე, პერსონაჟთა ურთიერთობების ტიპების განხილვა და კლასიფიკაცია.

ბარტისეული კვლევა „რასინის შესახებ“ („Sur Racine“), ზოგადად ორ

## ე. ქვანტალიანი

ძირითად ნაწილად აქვს ავტორს წარმოდგენილი: წიგნის პირველ თავში ერთ-ერთი სათაურია „სტრუქტურა“, სადაც მკვლევარი ცდილობს, რასინის ყველა ტრაგედიის შემაჯამებელი ანალიზის საფუძველზე გამოავლინოს ზოგადი სტრუქტურალისტური კონსტრუქცია და აღწეროს მათი დამახასიათებელი ნიშნები. იგივე თავის მეორე ნაწილში, სახელწოდებით „ნაწარმოები“, ბარტი ცალ-ცალკე ჩერდება თითოეულ ქვეთავზე: „La Thébaïde“, „Alexandre“, „Andromaque“, „Britannicus“, „Bérénice“, „Bajazet“, „Mithridate“, „Iphigénie“, „Phèdre“, „Esther“, „Athalie“ (Barthes 2002:10) და იმოწმებს პირველ ნაწილში გამოტანილ დასკვნებს.

ცნობილია, რომ ბარტი სტრუქტურალიზმზე მუშაობისას კვლევა-ძიების მომენტში ფოკუსირებული გახლდათ ენის მნიშვნელობის გამოვლენაზე მწერლობაში, რომელიც, მისი აზრით, ადრე შეუმჩნეველი იყო კრიტიკისოსებისთვის. მან დარწმუნებით გამოთქვა აზრი, რომ თხრობა ასახავს რეალობას. ამრიგად, მისი სტრუქტურალისტური თეორია გახდა კიდევ ერთი საშუალება მისივე თანამედროვე ეპოქაში მოძველებული ლიტერატურული კრიტიკიზმის მექანიზმების ახლებურად შეცვლისა (Барт 1989: 145-148; The Art Story: 2024; Melkonian 1993: 95; Classicisme 2004: 185-203; Pennanech 2008). ბარტი თავის წიგნში „წერის ნულოვანი დონე“ აღნიშნავს: „ენა უმაღლ ზღვარს ჰგავს, რომლის გადაღახვამაც, შესაძლოა, სიტყვის ზებუნებრივი თვისებები აღმოაჩენინოს“ (ბარტი 2012: 11).

ლიტერატურულ კრიტიკაში ახლის ძიება, საინტერესო გზაა ჩვეულებრივ სხვადასხვა ეპოქის მკვლევართათვის, თუმცა, ვფიქრობ, მთავარი მაინც ნაწარმოებების კვლევისას კლასიკური, ტრადიციული მიდგომაა საჭირო, ვიდრე მისი უგულველყოფა და მარტო ახლებური მეთოდების გამოყენება.

მწერლის ენა, ბარტის თვალთახედვით, თითქოს ლიტერატურისაგან გაიმიჯნა, მაშინ, როცასტილი განყენებულ სივრცეში მდებარეობს, რომლის სპეციფიკური ხატოვანება და გამომხატველობითი მანერა თავისებურ მწერლურ ლექსიკონს ქმნის (Messager 2019: 68; Milner 2003: 112; Barthes 2014: 407; Bertrand 2017: 672). რ. ბარტმა განსაზღვრა სტრუქტურალიზმი, როგორც კულტურული არტეფაქტების ანალიზის საშუალება, რომელიც სათავეს იღებს ლინგვისტიკის მეთოდოლოგიდან. ბარტის კრიტიკული ნარკვევი „ავტორის სიკვდილი“, ეჭვებეშ აყენებდა ავტორობის ტრადიციულ ცნებებს და ამტკიცებდა, რომ ტექსტის ინტერპრეტაციისას ავტორის ზრახვები და ბიოგრაფია არ უნდა გავითვალისწინოთ (Messager 2021: 69; Barthes 1975: 237-272), რაც ჩემთვის ამა თუ იმ ლიტერატურული ნაწარმოების კვლევისას მიუღებელია.

ბარტი-სემიოლოგი, ასევე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სიმბოლოებს.

იგი ამტკიცებდა, რომ ტექსტი არის ლიტერატურული ნაწარმოები ნიშნების შემადგენელი ამბივალენტობით. იგი კიდევ უფრო აღრმავებდა ახლებურ ხედვას ნაწარმოებში რასინზე: „Sur Racine”, სადაც ავტორი უკვე კლასიციზმის მოძველებულ სტანდარტებზე საუბრობდა და კრიტიკული თვალით განიხილავდა მას. ბარტი რასინის ავტორისეულ როლს ნაწარმოებში უპირისპირებდა მე-20 საუკუნის სტუქტურალისტურ თეორიას „ავტორი მოკვდა“.

უნდა აღინიშნოს, რომ ბარტის „რასინის შესახებ“ (კვლევის პირველი თავი) სწორედ კრიტიკოსის მცდელობაა გამოავლინოს მწერლის ტრაგედიების პოეტიკის ზოგადი მახასიათებლები. ბარტი რასინის „კითხვას“ ტოპოლოგიით იწყებს. მისი შეხედულებით რასინის დრამების პოეტიკაში არსებობს სამი ხმელთაშუა ზღვა: ანტიკური ხანის, ებრაული და ბიზანტიური, რომლებიც მხოლოდ რასინისეული დრამებისთვისაა დამახასიათებელი, ტრაგიკული ადგილები უდაბნოს ცხელი მზით გადამწვარი ხმელი მიწებით, სადაც გამეფებულია ჩრდილი და მზე. იგი წერს: „Il y a trois Méditerranées dans Racine: l'antique, la juive et la byzantine. Mais poétiquement, ces trois espaces ne forment qu'un seul complexe d'eau, de poussière et de feu (Barthes 2002: 15). „რასინთან სამი ხმელთაშუა ზღვაა: ანტიკური, ებრაული და ბიზანტიური. მაგრამ პოეტურად, ეს სამი სივრცე წყლის, მტვრისა და ცეცხლის მხოლოდ ერთ კომპლექსს ქმნის“ (თარგმანი ფრანგულიდან ყველგან ე. კვანტალიანისა).

ტრაგიკული სივრცის ორგანიზების დახასიათების შემდეგ ბარტი გადადის რასინის თერმეტივე ტრაგედიის სიუჟეტის შემაჯამებელ ანალიზზე. იგი ასკვნის, რომ რასინის ტრაგედიების ზოგადი მოტივები ნასესხები იყო პრიმიტიული, ბარბაროსული საზოგადოების ურთიერთობებიდან, როდესაც ხალხი ცხოვრობდა ველურ, უთანასწორო გარემოში, სადაც ყოველივე ძალმომრებაზე იყო დაფუძნებული: „Voilà donc une première définition du héros tragique : il est l'enfermé, celui qui ne peut sortir sans mourir : sa limite est son privilège, la captivité sa distinction“ (Barthes 2002: 18). „აი, ტრაგიკული გმირის პირველი და მთავარი განმარტება: ის ჩაკეტილია, შეზღუდულია, მას არ შეუძლია სიკვდილის გარეშე თავის დახსნა: მისი ზღვარია მისივე პრივილეგია, ტყვეობა კი მისი განმასხვავებელი ნიშანი.“

ბარტი აქ პირველად გვთავაზობს რასინისეულ დრამებში ტრაგიკული გმირის არსის განმარტებას, რომ ეს უკანასკნელი არის შეზღუდული ნაწარმოებში, ვისაც არ შეუძლია ამა თუ იმ პრობლემისგან თავის დაღწევა სიკვდილის გარეშე. ასევე რ. ბარტი აღნიშნავს, რომ პროტაგონისთა აღმატებული როლი ნაშრომებში განპირობებულია იმით, რომ მათი

## ე. ქვანტალიანი

განმასხვავებელი ინდივიდუალობა ტყვეობის ჩარჩოებშია მოქცეული. თუმცა ავტორი ვერ მალავს, რომ, რასინის წარმატება მისი პოეტური ხელწერის გამჭვირვალობა იყო: „*C'est d'ailleurs là même qu'est la réussite de Racine: son écriture poétique a été suffisamment transparente*“ (Barthes 2002: 40). „სწორედ აქ არის რასინის წარმატება: მისი პოეტური ხელწერა საკმაოდ გამჭვირვალე იყო.“ როლან ბარტის წიგნი „*Sur Racine*“ ძირითადად შედგება სამი ნაწილისაგან: I თავია „რასინისეული ადამიანი“, II თავი - „რასინის სათქმელი“, III თავი - „ისტორია თუ ლიტერატურა?“ პირველ თავში საუბარია რასინის დრამების წერის სტრუქტურაზე, ტრაგედიებში საიდუმლო მისტიურ „ოთახზე“, დრამატურგის სამ გარე მთავარ სივრცეზე: სიკვდილზე, პრობლემებისაგან გაქცევასა თუ მნიშვნელოვან მოვლენებზე, ეროტიულ სცენებზე, ფუნდამენტურ ურთიერთობებზე, დრამაში აგრძელის გამოხატვის ტექნიკაზე და ა.შ.

ბარტი, როგორც მკვლევარი ცდილობს, რასინის ყველა ტრაგედიის შემაჯამებელი შეფასება-ანალიზის საფუძველზე, გამოავლინოს ზოგადი სტრუქტურა და აღწეროს მათი დამახასიათებელი ნიშნები (Roger 2007: 273-291; Бореј 2018; Samoyault 2015: 720; Sollers 2015: 170).

იგი თავისი კრიტიკული ნაშრომის წინასიტყვაობაში აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი კვლევა რასინზე, წარმოიშვა სხვადასხვა გარემოებიდან, თუმცა ამ საკითხებისთვის რეტროსპექტული აზრის მინიჭებას არ ცდილობდა. ავტორი წერს, რომ ლიტერატურის კრიტიკაში განიხილავდა ერთგვარ რასინისეული ანთროპოლოგიის რეკონსტრუქციას, როგორც სტრუქტურულ, ასევე ანალიტიკურ ჭრილში. კრიტიკოსი რასინის ტრაგედიებს აღიქვამს, როგორც ერთეულების („ფიგურების“) და ფუნქციების სისტემას, რასაც არსებითად სტრუქტურულ გაანალიზებას უწოდებს. ბარტი ანალიტიკური ფორმით იკვლევს მხოლოდ ნაწარმოების ენას, რომელსაც კლასიცისტი დრამატურგის ნაშრომთა ფსიქოანალიზის მთავარ ღერძად მოიაზრებს, რასაც რასინთან დაფარული ადამიანური საიდუმლოს გამორკვევის საშუალებადაც მიიჩნევს. კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ: „*Ce que j'ai essayé de reconstituer est une sorte d'anthropologie racinienne, à la fois structurale et analytique*“ (Barthes 2002: 11). „რისი რეკონსტრუქციაც ვცადე, ეს არის ერთგვარი რასინისეული ანთროპოლოგია, როგორც სტრუქტურული, ასევე ანალიტიკური სახით.“

პირველი თავში „*L'Homme racinien*“ წარმოდგენილი კვლევა, როგორც ავტორი ამბობს, საერთოდ არ შეეხებოდა რასინის დრამატურგიის ანალიზს, არამედ მხოლოდ მის გმირებს გამოიკვლევდა. ბარტი წერს, რომ რასინის ტრაგედიების სამყაროში მოათავსა თავი და ცდილობდა აღეწერა მისი პერსონაჟები ფსიქოანალიზის საფუძველზე, რომელიც

## აპარი ფერმოლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოაზვ, 2024, №2(24)

აბსტრაქტული „Homo racinianus“-ის („რასინისეული ადამიანის“) კონცეფციით წარმოადგინა, ყოველგვარი ეპოქის ისტორიისა ან ავტორის ბიოგრაფიის გამოძიების გარეშე: „je me suis placé dans le monde tragique de Racine et j'ai tenté d'en décrire la population (que l'on pourrait facilement abstraire sous le concept d'Homo racinianus)“ (Barthes, 2002:11). „მე მოვათავსე თავი რასინის ტრაგიულ სამყაროში და შევეცადე აღმეწერა მისი მოსახლეობა (რომელიც ადვილად შეიძლებოდა აბსტრაქტული ჰომო რასინიანუსის „d'Homo racinianus“ კონცეფციით წარმომედგინა).“

მეორე თავი „Dire Racine“ შეიცავს რასინის პიესის „ფედრას“ სახალხო თეატრში წარმოდგენის შესახებ განხილვა-მოხსენებას. ბარტი წერს, რომ თუმცა ეს საკითხი მოძველებული იყო, მაგრამ მაინც რელევანტურად მიაჩნდა დაეპირისპირებინა რასინის დრამების ტრაგიზმი მაყურებლის აღქმის ფსიქოლოგიური თამაშის თეორიასთან და ამ გზით შეეფასებინა შეიძლებოდა თუ არა რასინი ისევ აქტუალური ყოფილიყო XX საუკუნეში. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ ეს კვლევა ეძღვნებოდა თეატრის პრობლემას, ამ გზით ბარტი რასინის როლის გამოკვეთას ცდილობდა. უნდა ითქვას, რომ უან რასინს უამრავი მკვლევარი ჰყოლია მე-17 საუკუნიდან დღემდე და ჩემი აზრით, ამ დიდი კლასიცისტი მწერლის დრამატურგიული ფრანგული გენია მუდამ აქტუალური და ამოუწურავი იქნება.

რაც შეეხება მესამე თავს, „Histoire ou Littérature?“ („ისტორია თუ ლიტერატურა?“), იგი რასინის დრამების გაანალიზების ფონზე მთლიანად ეძღვნება კრიტიკის ზოგად პრობლემას და მოიცავს იმპლიციტურ თანამოსაუბრესთან ლიტერატურის ისტორიის ან ფსიქოანალიზის შესახებ მსჯელობას.

ავტორი რიტორიკულ კითხვას სვამს თუ რატომ ვსაუბრობთ დღეს ისევ რასინზე? და იქვე, თავად ბარტი პასუხობს საკუთარ შეკითხვას, რომ რასინის ნაშრომები ძალიან მდიდარია ენის, როგორც მხატვრული გამოხატვის მრავალფეროვნების საშუალებით. ამ მხრივ, რასინის ენა და სტილი ბარტისეულ სტრუქტურალისტური კვლევის მთავარ საგნად იქცა. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ფრანგული ლიტერატურა, ყველაზე მეტად უკავშირდება ისევ, კლასიკური გამჭვირვალობის იდეას, რომელიც უდავოდ ძირითადად რასინის სალიტერატურო ენას დაეყრდნო მის მომდევნო საუკუნეებშიც.

შემდეგ ბარტს მოჰყავს მაგალითები რასინის დრამტურგიის კვლევებთან დაკავშირებით: სოციოლოგიური კრიტიკა ლუსიენ გოლდმანთან, ფსიქოანალიტიკური ჩარლზ მორონთან, ბიოგრაფიული უან პომიესთან და რეიმონდ პიკართან, ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზი ჟორჟ პულესთან და უან სტარობინსკისთან (Barthes 2002: 12).

## ე. ქვანტალიანი

კლასიციზმის ეპოქის ამ გამორჩეული ავტორის ჟან რასინის ნამუშევრები რეგულარულად იხეჭდებოდა, ითარგმნებოდა, იდგმებოდა და სრულდებოდა მრავალ თეატრში, სხვადასხვა მსახიობებისა და რეჟისორების მიერ. რასინის გარდაცვალებიდან თითქმის სამი საუკუნის შემდეგ კრიტიკოსებმა ისევ არნახული ინტერესი გამოავლინეს მისი ტრაგედიების მიმართ.

ბარტს მოჰყავს მსჯელობა, რომ თუ ლიტერატურა, როგორც მას სჯერა, არსებითად მოწესრიგებული მნიშვნელობის სიმბოლური აზრობრივი გაგებაა, ასევე იმედგამაცრუებული აზრის და ცარიელ სივრცის შემცველიცაა, რაც წერის ნულოვან ხარისხს ქმნის. მაშასადმე, ბარტი ასკვნის, რომ ამ გაგებით რასინი გენიალური მწერალია, რადგან ის მარადიული მსჯელობის საგნად იქცევა. კლასიკოსი მწერლის გამჭვირვალობაც ორაზროვანი ღირებულებაა: ეს არის ის, რის შესახებაც სათქმელი არაფერია და რაზეც არის ყველაზე მეტი სასაუბრო. ამიტომ, საბოლოო ჯამში, ბარტის აზრით, სწორედ მისი გამჭვირვალობა ქმნის რასინს სრულყოფილ შემოქმედად.

ბარტისეული ანალიზით, ლიტერატურა უამრავი მნიშვნელობის სიმბოლოს გამოსახვაა, ხოლო სამყაროში ისტორიის, ენისა და თავისუფლების ცნებები უსასრულოდ იცვლება. შესაბამისად, მწერლის შეხედულებაც სხვადასხვანაირია ამ თუ იმებოქაში. ნაწარმოების სრულიად ალუზიური პრინციპი, კი დუმილია, რომელზეც არ ლაპარაკობს ავტორი და მხოლოდ მსმენელზე არის დამოკიდებული ნაშრომის გარკვეული, ძირეული საკითხების მისებური აღქმა.

საინტერესო კვლევას გვთავაზობს ბარტი ქვეთავში „ორი ეროსი“. მკვლევარი აღნიშნავს, რომ რასინთან ტრაგიკული ერთიანობა არა თუ პიროვნებათა კომპლექსური ხასიათის წარმოჩენას ეფუძნება, არამედ იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ერთი ფიგურა ან სულაც ფუნქცია, რომელიც მას განსაზღვრავს.

ადამიანურ ურთიერთობებს, ბარტის თვალთახედვით, რასინი ორ ძირითად კატეგორიად ყოფს: ვნებად და ძალაუფლებად. ასევე, ავტორი აღნიშნავს, რომ ჟან რასინის შემოქმედებაში არსებობს ორი ტიპი სიყვარულისა ანუ, ორგვარი ეროსი: პირველი იბადება მოყვარულ ადამიანებს შორის ძალიან შორეული წარსულიდან, მაგალითად, ისინი ერთად გაიზარდნენ, უყვარდათ ერთმანეთი (ან ერთს უყვარს მეორე) ბავშვობიდან (იუნია, ანტიოქე და ბერნიკე, ბაიაზეტი და ატალიდა...); რომლის ვნებაც ნებადართულია და ამიტომაა შედარებით მშვიდი; ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ მას სიყვარული, რომლის მომავალი მშვიდობიანია, უბედურება მისთვის საბედისწერო არ არის. მეორე სიყვარული კი,

პირიქით, ის მოულოდნელად იბადება და ვნებათაღელვის აპოგეა. ის წარმოიქმნება როგორც აბსოლუტური მოვლენა, რომელიც ზოგადად გამოხატულია განსაზღვრული წარსულით (ვნახე, მომეწონა და ა.შ.). ეს ეროსი-მოვლენა არის ის, რაც აკავშირებს ნერონსა და იუნიეს, ფედრასა და იპოლიტეს და სხვ. გმირი იქ შეკრულია თითქოს მხოლოდ ვნებებით და გატაცებაშია მყოფი, ირგვლივ ყველაფერს ანგრევს და ანადგურებს საბოლოოდ. ამ მიმართულების სასიყვარულო ინტრიგებს მომგებიანად აღარ თვლის ბარტი მე-20 საუკუნისთვის, თუმცა მის მომხიბვლელ მოტივებსაც აღიარებს (Burke 2010: 5; Derrida 2007: 14).

როლან ბარტი რასინის დრამების განხილვის თავისებურ კლასიფიკაციასაც გვთავაზობს, მაგალითად „თებაიდას“ თემა მისი აზრით სიძულვილია, პიესა „ესთერის“ მთავარ სათქმელი ერთგულების ფენომენია, ხოლო ტრაგედია „ათალიას“ მისი შინაარსიდან გამომდინარეს უწოდებს სქიზმას და ა.შ. ბარტი ზოგადად აღნიშნავს, რომ რასინის თეატრში გამეფებულია პერსონაჟებს შორის სიძულვილი, ამის მაგალითებია: აქსიანე და ტაქსილი, ჰერმიონე და ანდრომაქე, ნერონი და ბრიტანიკუსი, როქსანა და ატალიდა, ერიფილე და იფიგენია, ამანი და მორდოქაი, იოადი და მათანი (Barthes 2002: 43).

როლან ბარტი თავის თეორიულ კრიტიკაში „Sur Racine“ („რასინის შესახებ“) სვამს ასევე სხვა რიტორიკულ შეკითხვას, რომლითაც ის სტენდალის ტრაქტატს „რასინს და შექსპირს“ ("Racine et Shakespeare", 1823-1825) ეხმიანება: შეიძლება თუ არა კლასიცისტური ნაწარმოები იყოს საინტერესო თანამედროვე საზოგადოებისათვის? აქაც, თვითონვე ავტორი გვთავაზობს პასუხს, რომ კლასიციზმის საკითხი ცოტა მოძველებულია, რადგან თანამედროვე კრიტიკული ანალიზი სხვა ენობრივ ნორმებსა და სიახლეებს მოითხოვს, რომელიც სავსეა თავის მხრივ დადებითი და უარყოფითი მხარეებით (Marty 2006: 335).

ვფიქრობ, მიუხედავად იმისა, რომ როლან ბარტი გარკვეული სახით აკრიტიკებს კლასიცისტებისა და რასინის წერის თუ გამოხატვის „მოძველებულ“ სტილს, მისი შეხედულებები რასინისეული ტექსტების შესახებ მაინც ძალიან ორიგინალურია. იგი ბევრ საინტერესო და სრულიად ახლებულ ხედვას გვთავაზობს დიდებული კლასიცისტი მწერლის რასინის სააზროვნო სისტემის, ენისა და პერსონაჟების შესახებ.

ბარტის, როგორც სტრუქტურალიზმის ფუძემდებლის დაინტერესება რასინის შემოქმედებით, ცხადყოფს, რომ უან რასინის პიესები, თავიანთი სტრუქტურით, პრობლემატიკითა და სხვ. პოეტოლოგიური თავისებურებებით აქტუალურობას საუკუნეების შემდეგაც არ კარგავს. ფრანგული კლასიციზმის კრიტიკა ბარტისთვის აზროვნების ორმაგი

## ე. ქვანტალიანი

სარკეა ენასა და ლიტერატურაზე, თუ ვინმე იყო ჭეშმარიტი მწერალი, ბარტის აზრით, ვინც შექმნა “თეთრი მწერლობა” („écriture blanche“), ეს რასინია.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ, როლან ბარტის კრიტიკა თანამედროვე სტრუქტურალისტური თეორიებით კლასიკური ლიტერატურის და, კერძოდ, რასინის შესახებ შემდეგია: ყველა კრიტიკოსს თავისებურად შეუძლია საკუთარი ისტორიისა და თავისუფლების სახელით რასინის ისტორიული, ფსიქოლოგიური, ფსიქოანალიტიკური ან პოეტური ჭეშმარიტების გაგება. სწორედ, ამაში მდგომარეობს ლიტერატურის კრიტიკაში ამ მიდგომის სიახლე.

ბუნებრივია, ყველა ახალი საუკუნის ლიტერატურულ-კრიტიკული გამოწვევები ინოვაციის შემცველია, თუმცა რასინის ენა უნივერსალურია თავისი „გამჭვირვალობით“, როგორც მას თავად რ. ბარტი უწოდებს. უნი რასინის დრამატურგია გაჯერებულია ორიგინალური სტილით, ფორმით, შინაარსით, პრობლემათა უნივერსალურობით და ა.შ. ეს დრამატურგიულ მოცემულობათა სრულყოფილებაა და რომელი კრიტიკოსიც არ უნდა შეეხოს მას ვერაფერს დააკლებს. ამიტომ, რასინი კაცობრიობის ისტორიასთან ერთად იარსებებს. ამის საფუძველი ის არის, რომ, იგი თავის ფსიქოლოგიურ ტრაგედიებში ეხება ადამიანის სამყაროში ყოფნის საჭირბოროტო საკითხებს და, რაც უმთავრესია, რასინის უნივერსალურობას მისი ტრაგედიების აბსტრაქტულობა განაპირობებს.

### ლიტერატურა

- ბარტი, როლან. 2012. წერის ნულოვანი დონე (ქართულ ენაზე), თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Barthes, Roland. 2002. *Sur Racine*. Paris: Éditions du Seuil.
- Barthes, Roland. 2014. *Denis Roche, Annie Ernaux, Paris, Honoré Champion; Genève, Slatkine*.
- Barthes, Roland. 1975. „An Introduction to the Structural Analysis of Narrative, Lionel Duisseit New Literary History“. Vol. 6, No. 2, *On Narrative and Narratives*. Winter, 1975.
- Bertrand, Jean-Pierre (dir.). 2017. *Roland Barthes: continuités*. Paris, Christian Bourgois, 2017.
- Burke, Seán. 2010. *The Death and Return of the Author: Criticism and Subjectivity in Barthes, Foucault, and Derrida*, 3, 2010.
- Compagnon, Antoine. 2015. *L'Âge des lettres*, Gallimard.
- Coste, Claude. 2000. „Roland Barthes ou la hantise du XVIIe siècle“, Elseneur, n° 15-16; („Postérités du Grand Siècle“). Presses universitaires de Caen.

- Derrida, Jacques. 2007. "The Deaths of Roland Barthes," in Psyche: *Inventions of the Other*, Vol. 1, ed. Peggy Kamuf and Elizabeth G. Rottenberg, Stanford: Stanford University Press.
- Marty, Éric. Roland, Barthes. 2006. *le métier d'écrire*, Paris, Seuil.
- Marty, Éric. Roland Barthes. 2010. *la littérature et le droit à la mort*, Paris, Seuil.
- Melkonian, Martin. 1993(1989). *Le corps couché de Roland Barthes*, Paris, Armand Colin.
- Messager, Mathieu. 2019. *Roland Barthes*, Paris, Presses universitaires de France.
- Messager, Mathieu. 2021. *Barthes/Quignard. L'idée de littérature au tournant du XXIe siècle*, Presses universitaires de Rennes.
- Milner, Jean-Claude. 2003. *Le pas philosophique de Roland Barthes*, Lagrasse, Verdier.
- Roger, Philippe. 2007. „Barthes post-classique“, *Revue d'Histoire littéraire de La France*.
- Samoyault, Tiphaine. 2015. *Roland Barthes*, Paris, Seuil.
- Sollers, Philippe. 2015. *L'Amitié de Roland Barthes*, Paris, Seuil.
- Sontag, Susan. 2009(1979). *L'écriture même: à propos de Roland Barthes*, Philippe Blanchard (trad.), Paris, Christian Bourgois.
- The Art Story, Roland Barthes*. 2008-2024. FRENCH PHILOSOPHER, SOCIAL THEORIST, AND SEMIOTICIAN, THE ART STORY FOUNDATION; <https://www.theartstory.org/influencer/barthes-roland/>
- Classicisme et rhétorique chez Roland Barthes: que faire des lieux communs du XVIIe siècle dans la «modernité? *Presses universitaires de Rennes*; pp.185-203, consultée le 20 mai 2004;
- Pennanech, Florian. 2008 „Poétique de l'anti-philologie dans Sur Racine“, *Fabula-LhT*, n° 5, *Poétique de la philologie*, novembre 2008. consultée le 17 mai 2015. URL: <http://www.fabula.org/lht/5/pennanech.html>
- Zarzouli, Despina. 2018. „L'étude de la violence dans le Sur Racine de Roland Barthes“, *Babel*, 38 -1, [En ligne], 2018, mis en ligne le 01 février 2019, consulté le 28 avril 2024; URL: ; DOI: <https://doi.org/10.4000/babel.6423>
- Барт, Р. 1989. *Избранные работы: Семиотика, Поэтика*, Пер. с фр. Сост., общ. ред. и вступ. ст. Г. К. Косикова. Москва: Прогресс.
- Борей .В. Ю. 2018. „Поэтика Расина и ее структурный анализ Ролана Барта“, 18-09-2018, <https://md-eksperiment.org/ru/post/20180918-poetika-rasina-i-eyo-strukturnyj-analiz-rolanom-barto>

## Literature and Literary Theory

### Roland Barthes about Racine (criticism and evaluation)

Eka Kvantaliani

kvantaliani.eka@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

DOI: <https://doi.org/10.52340/atsu.2024.2.24.09>

*The article presents and analyzes Roland Barthes's 1963 critical essay on Racine "Sur Racine", which offers a completely new perspective on the criticism of classicism and Racine as a playwright from the perspective of structuralist theories. Barthes analyzes the manner of Racine's writing not from a traditional literary critical point of view, but from a new way, which is called the "New Criticism" of the 20th century in France, which later spread throughout Europe. The article discusses that Barthes, based on his modernist theories, made a completely different topological classification of the dramaturgical masterpieces of the great classicist writer. Despite Barthes's criticism of Racine's classical language, he offered us a kind of understanding of the "metalanguage" in literature, an example of which he found in Jean Racine, which, according to Barthes, made Racine's dramaturgy an object of eternal practical research.*

**Keywords:** Barthes, structuralism, „New Criticism“, „Metalanguage“, Racine, classicism.

Roland Barthes (1915-1980) was a famous French philosopher, semiotician, theorist and critic of literature and social sciences. His works covered many fields. Barthes' critical thinking has influenced various theoretical schools, especially structuralism, semiology, anthropology, existentialism, literary theory, and poststructuralism.

Barthes' ideas have always been characterized by a love for fragmented narratives (a narrative in a work of fiction) and poetic language, which gave rise to a new approach to literary analysis, which gave rise to a new approach to literary analysis that perfectly reflected the new age spirit of postmodernism. The perception of Barthes' poetic language should not be understood as a traditional approach in literary theory, but as a so-called metalanguage, which is viewed through the prism of structuralism.

Barthes is known for his following essays: the collection "Mythologies" (1957), "The Zero Level of Writing" (1953), "Structuralism as Activity" (1963), "On Racine" (1963), "The Death of the Author" (1967), in which he particularly

opposed traditional approaches to literary criticism and others.

When Barthes was working on structuralism, his research focused on uncovering the importance of language in writing that he believed had previously been overlooked by critics. He confidently expressed the opinion that the narrative reflects reality. Thus, his structuralist theory became another means for him to change the mechanisms of literary criticism that were outdated in the modern era. From Barthes's point of view, language seems to be separated from literature, while style is located in the applied space, the specific imagery and expressive manner of which creates its own literary vocabulary.

Barthes, a semiologist, also attaches great importance to symbols. He argues that a text is a literary work, but with an ambivalence in the constitution of signs. It further deepens a new vision in the work: "On Racine", where the author already talks about the outdated standards of classicism and examines it with a critical eye. Bart contrasts Racine's authorial role in the work with the 20th century structuralist theory of "the author is dead." The French people called Jean-Baptiste Racine "the great Racine". The works of this distinguished author of the classicism era were regularly printed, translated, staged and performed in many theaters by various actors and directors. Almost three centuries after Racine's death, critics have shown unprecedented interest in his tragedies.

Roland Barthes, in his essay on Racine, was one of the first to apply the widely known structuralist study to the field of literary criticism. The main basis of the methodology of such an analysis is the principle of a new research of the work - analysis beyond the socio-historical process. Within the framework of this situation, the researcher should identify the elements of the literary text and consider the connections between them only "on the background of internal analysis".

The process of Barthes' study of the poetics of Racine's work, despite the many aspects it deals with, can be divided into several main parts. First of all, it is an understanding of spatial organization; Next is the analysis of the plot of the tragedies, as well as the discussion and classification of the types of character relationships. It should be noted that Barthes's "About Racine" (the first chapter of the study) is the critic's attempt to reveal the general characteristics of the poetics of the writer's tragedies. Bart begins his "reading" of Racine with topology.

Barthes defined structuralism as a means of analyzing cultural artifacts that originates from the methodology of linguistics. Barthes's critical essay "The Death of the Author", first published in 1967, challenges traditional notions of authorship and argues that the author's intentions and biography should not be taken into account when interpreting a text.

Roland Barthes's book "Sur Racine" consists of three parts: Chapter I:

## ე. ქვანტალიანი

---

"The Racine Man", Chapter II: "What Racine Said", Chapter III: "History or Literature?" The research presented in the first chapter "L'Homme racinien" (The Racine Man), as the author says, was not about the analysis of Racine's dramaturgy at all, but only about his characters. Barthes writes that he placed himself in the world of Racine's tragedies and tried to describe his characters on the basis of psychoanalysis, which he presented with the abstract concept of "Homo racinianus", without any investigation into the history of the era or the author's biography.

The second chapter contains a report-debate on the performance of Racine's "Phèdre" at the Théâtre populaire. As for the third chapter "Histoire ou Littérature?" ("History or literature?"), it is completely devoted to the general problem of criticism against the background of analyzing Racine's dramas and includes discussions about the history of literature or psychoanalysis with an implicit interlocutor.

The author asks a rhetorical question, why are we still talking about Racine today? There he responds that Racine's work is very rich in the diversity of language as artistic expression, and in this respect it became the main subject of Barthes' structuralist study. According to Barthes, Racine divides human relations into two main categories: passion and power.

To conclude, Roland Barthes' criticism and assessment of modern structuralist theories of classicist literature, and Racine in particular, is as follows: Every critic is able in his own way to understand the historical, psychological, psychoanalytical or poetic truth of Racine in the name of his own history and freedom. That is the novelty of this approach in literary criticism. Roland Barthes's structuralist-literary theories of classicism contradict traditional approaches in literary criticism. Barthes analyzed in his critical work that the perception of poetic language should not be understood as the traditional approach to language in literary theory. It is rather a metalanguage that interprets Racine's plays with completely different symbolic meanings.

Thus, it can be said that Roland Barthes, while researching and evaluating Racine, suggests: "reading" Racine with topology; The analysis of the plot of his tragedies; Definition of the essence of the tragic hero in Racine dramas; Also, discussion and classification of character relationship types; Despite the standards of time-worn classicism, the problem of Racine's creativity and others.

The interest of Barthes, as the founder of structuralism, in the works of Racine, reveals that the plays of Jean Racine, with their structure, problems and other poetic features, do not lose their relevance even after centuries.